დადებულია ხელშეკრულება შესაბამის უწყებასთან სახანძრო უსაფრთხოების მომსახურეობასთან დაკავშირებით და შესყიდულია სათანადო ინვენტარი.ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლა მოლოდინის რეჟიმში იყო სახანძრო უსაფრთხოების წარმომადგენლის, რომელიც საბოლოოდ დაადასტურებდა სკოლის მიერ შესრულებულ სამუშაოებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახნძრო უსაფრთხოების დასკვნა, რომელიც ადასტურებს დაწესებულების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობას. ინდიკატორი წარმოდგენილი პოზიციის შემდეგ შესაბამისია.

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში პირველ სართულზე მდებარეობს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმები და ექთანი, (ამ ფართობზე სკოლას მოემახურება ერთი ექიმი), რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის" შესაბამისად, ასევე სკოლას დამტკიცებული აქვს ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი".
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად შენობა-ნაგებობის მდგრადობა აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვებს.

2. სკოლაში სპეციალურად გამოყოფილია საზოგადოებრივ წესრიგის დაცვაზე შესაბამისი პირი რომელიც ვალდებულია ორგანიზება გაუკეთოს, უზრუნველყოფ საზოგადოებრივ წესრიგის დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

სკოლას გააჩნია მექანიზმი რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ აკრძალული ნივთების არქონას. დანერგილია და ხორციელდება პოზიტიური დისციპლინირების პოლიტიკა,რაც გულისხმობს პრევენციული ღონისძიებების პროგრამის განხორციელებას. ამ მიზნით შემუშავებულია ,, საგანმანათლებლო -საინფორმაციო ხასიათის ღონისძიების პროგრამა".

3.დაწესებულებაში ფსიქოლოგიურ და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნის მიზნით აქვს რიგი მექანიზმები შემუშავებული; მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა საჭიროებისათვის, დროულად და ხარისხიანი სერვისისათვის სკოლას ჰყავს 2 პირი, რომელსაც გაწერილი აქვს თავის ,,სამუშაო გეგმა/პროექტი2023-2024 წლის პირველი სემესტრისათვის" სადაც საფეხურების მიხედვით გადანაწილებულია საქმიანობები. გასაუბრებისას პედაგოგებმაც დაადასტურეს ფსიქოლოგთა ეფექტიანი თანამშრომლობა მათთან. სკოლაში კეთილგანწყობისა და სასკოლო კლიმატის გაუმჯობესებისათვის შემუშავებულია ,, მოსწავლეთა ადაპტაციის გეგმა" და ,, პედაგოგთა ადაპტაციის გეგმა" და ტარდება შეხვედრები, ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები, ბულინგზე ,ძალადობაზე, ემოციურ ფონის, სუიციდის პრევენციის შესახებ... წლის ბოლოს ფსიქოლოგის მიერ გაკეთებულია მაისი საქმიანობის ანგარიში. დადასტურება- წარმოდგენილი ქეისები.

4.სკოლას სანიტარულ- ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით სკოლა გააჩნია შესაბამისი ,,სკოლის დასუფთავების სამსახური", რომლისთვისაც ცალ-ცალკე შემუშავებულია სამსახურის უფროსის, დამლაგებლის და მეეზოვის დებულება სადაც გაწერილია უფლება -მოვალეობა -პასუხისმგებლობები. დაწესებულების ტერიტორიაზე მონიტორინგს აწარმოებს სკოლის ექიმი, დადასტურება ,, ექიმის ანგარიში 2022-2023", სადაც მთელი წლის მანძილზე ღონისძიების გეგმაში გაწერილია ,,ზედამხედველობა სკოლაში სასმელი წყლისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ მოთხოვნების დაცვა" სანიტარული კვანძები გამიჯნულია ცალკე ქალებისათვის და კაცებისათვის. პედაგოგიური პერსონალისა და სხვა პერსონალისათვის არსებობს სანიტარული კვანძი დამოუკიდებელი შესასვლელით. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი დაცული, კულტურულ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

სოციალური დონისათვის შესაფერისი ხელმისაწვდომი მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა პირადი ჰიგიენის საშუალებების არსებობა: ქაღალდი, საპონი ხელსახოცი, ხელის საშრობი აპარატი, ნარჩენების კალათი.

სკოლა სასმელი წყალით უზრუნველყოფილია, ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის და სკოლის პერსონალისათვის წყლის დისპენსერით, კვების ობიექტში და შენობის წყლის სასმელ წერტილებში. სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინაროებდა სარემონტო სამუშაოები, რომელიც სრულდება აგვისტოს თვის ბოლოს (26 აგვისტო) სკოლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების თანამხმად.

5.სკოლა იცავს როგორც მოსწავლის, მისი მშობლის/მეურვის, ასევე სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის , ადმინისტრაციის, და დამხმარე პერსონალის პერსონალურ ინფორმაციას. დაწესებულებას გააჩნია ,, შ.პ.ს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“, რომელითაც განსაზღვრულია; მონაცემთა დაცვის პრინციპები, პერსონალური მონაცემების დამუშავება, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, პერსონალური მონაცემების გაცვა, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვა ელექტრონული პლათფორმის (Zoom cloud meeting) გამოყენების შემთხვევაში, მოსწავლის მონაცემების დაცვა მატერიალური და ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, მონაცემების დაცვა შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვისას, მონაცემების დაცვა ელექტრონული ფოსტის და ტელეფონის ნომრის დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას, მონაცემების დაცვა ელექტრონული ბაზის წარმოებისას, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება, თანამშრომელთა და მოსწავლეთა პასუხისმგებლობა, მონაცემთა სუბიექტისათვის ინფორმაციის მიწოდება, მონაცემთა დაცვის მონიტორინგი. ამ დოკუმენტში დაწვრილებითაა აღწერილი პერსონალურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

მონაცემთა საქმის წარმოება , მონაცემთა უსაფრთხოება და მონიტორინგი. ვიზიტის დროს, საქმიანობის გაცნობისას ამ მიმართებით მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, სკოლის მიმართ პიროვნებების მხრიდან შეკითხვებიარ იძებნება. დადასტურება ,, შ.პ.ს ქართულ ამერიკული უმაღლესი სკოლა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“.

6. ,,ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა“-ს გააჩნია ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლის მიზნებია;

1. დაწესებულებაში არსებული აქტივების, დაკისრებული ფუნქციებისა და რეპუტაციის დასაცავად კონტროლის მექანიზმების შექმნა და მისი მეშვეობით კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

2. შიდა და გარე საფრთხეების მიმართ ინფორმაციული უსაფრთხოების დამცავი მექანიზმების, კრიზისული სიტუაციებისა და განზრახ დაზიანებების წინააღმდეგ ქცევის ძირითადი წესების შექმნა

ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დაცვა ვრცელდება შემდეგ სფეროებზე.

ა) დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების/სისტემების ინფრასტრუქტურა.

ბ) დაწესებულებაში არსებული ძირითადი მონაცემები და ინფორმაცია.

გ) პირები, რომლებიც იყენებენ ინფორმაციულ სისტემებს ან ახორციელებენ მის ადმინისტრირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დ) პირები, რომლებიც ახორციელებენ ძირითადი მონაცემებისა და ინფორმაციის მართვას.

დაწესებულებას გაცნობიერებული აქვს, რომ ინფორმაციული უსაფრთხოება არ არის ერთჯერადი პროცედურა და ამისათვის ჩამოყალიბებული აქვს ინფორმაციული მართვის სისტემა (იუმს), რომელიც ორიენტირებულია ,,ეფექტური ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაქმნელად, ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვისადმი სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებაზე“. სამუშაო ჯგუფი პასუხისმგებელია სხვადასხვა საკითხების რეგულირებაზე მათ შორის, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნების შესრულების მონიტორინგზე.

სკოლას გამოყოფილი ჰყავს ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე პასუხისმგებელი პირი და გაწერილი აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები, ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფა და განახლება, არ ზიარდება პერსონალური ინფორმაცია მათ ვებგვერდებზე, სკოლის პერსონალისა და მშობლების მიმართ მუდმივ აკეთებს ინფორმირებულობას, ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვისას გათვალისწინებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და სამინისტროს მიერ დადგენილი რეკომენდაციები/რეგულაციები. ამ მხრივ შემუშავებული აქვთ ,, შ.პ.ს ქართულ ამერიკული უმაღლესი სკოლა, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა“, სადაც გათვალისწინებულია უსაფრთხოების რეგულირება, უსაფრთხოების მიზნები, მისი სუბიექტები, მიმართულებები, ხედვა მიდგომები, დამტკიცებისა და გადახედვის წესი. მიზნობრივი განვითარებისათვის სკოლამ შეიმუშავა ,, ქართულ ამერიკული უმაღლესი სკოლის ტექნოლოგიური გეგმა“, სადაც გათვალისწინებულია, როგორც სკოლის ციფრული ტექნოლოგიის განვითარება ისე ინფორმაციის დაცვის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

**7.** შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები"-ს შესაბამისად და ადგენს შ.პ.ს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს.

სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასებას ახორციელებენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით, ანონიმურობის დაცვით. მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების მიერ შეფასების კითხვარის შევსებას უზრუნველყოფენ კლასის დამრიგებლები, ხოლო მასწავლებლების მიერ შეფასების კითხვარის შევსებას უზრუნველყოფს სკოლის დირექცია. შეფასების კითხვარის წერილობით, აგრეთვე ზეპირი ფორმით მიღებულ ინფორმაციას, სკოლის დირექცია უზრუნველყოფს მის განზოგადებას სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში იდენტიფიცირებული პრობლემების მიხედვით.

სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირისა და სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით შექმნილია მრჩეველთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

საბჭო, რომელიც გარდა იმისა რომ განიხილავს განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს ასევე იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. სასკოლო საზოგადოებაზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით, ისმენს ანგარიშს გატარებული ღონისძიებების შესახებ.

2023 - 2024 სასწავლო წლისათვის სკოლას გაწერილი აქვს სამოქმედო გეგმა ,,საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების პროგრამა ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლაში“. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. მაგ: ,,დოკუმენტური ფილმის ჩვენება- ,,ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლაში საგანგებო სიტუაციებში მოქმედების სიმულაციური სცენარი“-დისკუსია“, ,,როლური თამაშები“ (საგანგებო სიტუაციებში მოქმედების იმიტაცია). ამავე გეგმით, სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასება, ანალიზისათვის, სკოლის დირექციისა და მრჩეველთა საბჭოს მიერ ერთობლივად დაგეგმილია აქტივობები; ,,ელექტრონული (ანონიმური) გამოკითხვა/კვლევა“ და ,,კვლევის შედეგების/ანგარიშის წარდგენა მრჩეველთა საბჭოსთვის“.

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებასა და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ტექნოლოგიური გეგმა;
2. ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები
3. დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;
4. პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი;
5. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. უფლებამოსილ ორგანოსთან პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
7. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;
8. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები;
9. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი.
10. ,,სეკოლაინის" მომსახურების ხელშეკრულება.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1 სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. ,,შ.პ.ს ,,ქართულ -ამერიკულ უმაღლესი სკოლა"-ს, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში ილია ჭავჭავაძის გამზირ N44, ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების შესაბამისად განსაზღვრულია აქვს 250 მოსწავლის მომსახურება. 44(ზ)-ში მდებარე ავტორიზებულ მომიჯნავე ფართთან ერთად, სკოლის შენობის საერთო ფართი არის 795,8 კვ. მ და 664.51 კვ.მ, ხოლო ეზო 1227 კვ. მ. დაწესებულებაში არსებობს ფართის ფლობისა და იჯარის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.

სკოლას გააჩნია დაწესებულების შენობის აზომვითი ნახაზი, რომელიც შესრულებულია შესაბამისი უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად შენობა-ნაგებობის მდგრადობა აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვებს.

სასწავლო პროცესისათვის გამოყოფილია შესაბამისი საკლასო ოთახები, კეთილმოწყობილი სველი წერტილები, ცალკე იზოლირებულია ბიბლიოთეკა, სასადილო, სამედიცინო კაბინეტი, რომლისთვისაც შეძენილია მედიკამენტები, სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული კაბინეტი 13 კომპიუტერით, ხოლო სულ შეძენილი აქვთ 34 კომპიუტერი. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის არის გამოყოფილი 2 პაკეტი, სასწავლო პროცესისათვის შეძენილია სპორტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

ინვენტარი, აქვს გარე სათამაშო მოედანი და შიდა დარბაზი, სხვადასხვა თვალსაჩინოება -პლაკატები და ა. შ. დაწესებულებას გააჩნია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული მერხები, საკლასო ოთახებში განთავსებულია 250 ცალი მერხი, დაფა 17 ცალი, ინტერაქტიური დაფა 3 ცალი, პროექტორი 14. არსებული ინვენტარის შესყიდვა დასტურდება სასაქონლო შესყიდვებით. ექსპერტთა ვზიტის დროს სკოლაში მიმდინაროებდა სარემონტო სამუშაოები, საბუნებისმტყველო ლაბოატორიები არ იყო დამონტაჟებული, თუმა ვიზუალური დათვალიერებით უკვე შესაძლებელია ყო აღნიშნულის ოთახის დათვალიერება, ხოლო სკოლამ წარმაოდგინა ლაბორატორის შესყიდვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია და რემონტის დასრულებისთვის დაამონტაჟებს.

2ვიზუალური დათვალიერებით, თანამშრომლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სასკოლო გარემო უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის განვითარებაზე, მათ უსაფრთხოებაზე ორიენტირებულ სივრცეებს, დამონტაჟებულია ვიდეო-თვალი ამ მიზნით დაშვებულია სპეციალური საშტატო ერთეულები. ბიბლიოთეკის, რესურსოთახის, კომპიუტერული, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის და სხვა აუცილებელი შესაძლებლობების გარდა არსებობს ეზო, ოთახები, სარეკრიაციო ზონა ინდივიდუალური შეხვედრებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, შედგენილია მათი რესურსების როგორც მატერიალური ისე ციფრული კატალოგი, ამავე ფართში მოსწავლეთა სარგებლობისათვის ინტერნეტში ჩართულია კომპიუტერი, სასწავლო საჭიროებისათვის შეძენილია წიგნად ფონდი, როგორც ქართულ ასევე უცხოურ ენებზე. ამ მიმართებით სკოლის ბიუჯეტიდან გამოყოფილია თანხები კერძოდ; გამოცემები როგორც მატერიალური ისე ელექტრონული ,,ააფ მენჯმენტი“, ,,ახალი განათლება“, ,,ეტალონი განათლება“, ,,ნეიშენალ ჯეოგრაფიკი“. კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯი. საგანმანათლებლო რესურსების შეძენა დასტურდება სასაქონლო ზედნადებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

3.სკოლას სპეციალური საჭიროების მოსწავლეთათვის გააჩნია რესურსოთახი, მოძრავი პანდუსები, ადვილად შესასვლელები სასწავლო სივრცეში. აღნიშნული კატეგორიის მოსწავლეთათვის ცალკეა გამოყოფილი სპეციალურად ადაპტირებული საპირფარეშო.

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული, შემეცნებითი აქტივობები თანატოლებთან და სხვა მოწვეულ წარმომადგენლებთან ამ მიზნით სკოლაში არსებობს გაკვეთილის შემდგომ სივრცე, შეკრებებისათვის საჭირო ინვენტარი, საუბრების შესაძლებლობა.

5.სკოლას აქვს და მუშაობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებით ასევე სამინისტროსთან სეთანხმებული არაგრიფმინიჭებული სახელმძრვანელოებით, კონკრეტულად მაკმილან საქართველოს (English Book) მიერ შეთავაზებული სახელმძრვაელოებით. სკოლას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნის მიღწევის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით აქვს დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური სახით(სხვადასხვა რუკები პლაკატები). შესყიდვები დასტურდება სასაქონლო ზედნადებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. მერხების შესყიდვის დოკუმენტები;
3. დაფების შესყიდვის დოკუმენტები;

კომპიუტერების შესყიდვის დოკუმენტები;

5. კამერების შესყიდვის დოკუმენტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

6. ჭკვიანი დაფების შესყიდვის დოკუმენტები;
7. პროექტორების შესყიდვის დოკუმენტები;
8. ცეცხლმაქრების შესყიდვის დოკუმენტები;
9. პერიოდული გამოწერის ხელშეკრულება;
10. სპორტული ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტები;
11. დომენის/ჰოსტინგის ხელშეკრულება;
12. ინტერნეტის მომსახურების ხელშეკრულება;
13. ელ.-ჟურნალის მომსახურების ხელშეკრულება;
14. წიგნადი ფონდის შესყიდვის დოკუმენტები;
15. საევაკუაციო გეგმა;
16. ლაბორატორიებით სარგებლობის წესი;
17. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

.1. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლის საკუთრებაშია ჯამში 149 კომპიუტერი/ლეპტოპი, რომელთა ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში(13  ცალი), ნაწილი კი სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებში, მათ შორის ყველა საკლასო ოთახებში. სკოლას აქვს პრინტერი/ქსეროქსები, ყველა ოთახში პროექტორები, ყველა ოთახში მონიტორები, სკოლის სხვადასხვა ნაწილში განთავსებულია ჭკვიანი დაფები. სკოლას ჰყავს IT მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ფარგლებში შესაბამისი პირები საჭიროებისამებრ ეხმარებიან სკოლის  თანამშრომლებს ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში და უზრუნველყოფენ კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკურ გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

პრინტერით, სკანერის აპარატით. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

2.სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს უფლება აქვთ გამოიყენონ კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა ტექნიკა საგანმანათლებლო მიზნებისთვის და სკოლა უზრუნველყოფს მის თანაბარ ხელმისაწვდომობას. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც ტარდება გაკვეთილები. ყველა საკლასო ოთახში არის კომპიუტერი, პროექტორი. ჭკვიანი დაფები მუდმივად გამოიყენება როგორც საგაკვეთილო პროცესის დროს, ისე სხვადასხვა ღონისძიებების მიმდინარეობისას. ლაბორატორიით სარებლობის წესის მიხედვით, კომპიუტერული ლაბორატოროით სარგებლობა შეუძლია ყველა მოსწავლეს და თანამშრომელს კვირაში 5 დღის (ორსაბათის-პარასკევი) 09:00 სათიდან -17:00 საათმდე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.კომპიუტერების შესყიდვის დოკუმენტები;
2. პრინტერის შესყიდვის დოკუმენტები;
3. პროექტორების შესყიდვის დოკუმენტები;
4. ჭკვიანი დაფების შესყიდვის დოკუმენტები;
5. ინტერნეტის მომსახურების ხელშეკრულება;
6. სკოლის ვებ-გვერდზე გთავსებული ლაბორატორიით სარგებლოს წესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1..სკოლამ წარმოადგინა საქმიწამოების წესის დოკუმენტი. აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. სკოლაში საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელია ადმინისტრაციული მენეჯერი. ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას; სკოლის არქივის დაცვასა და მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დამოწმებული ასლის გაცემას; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას; და სხვა. საქმისწარმოების წესი შეესაბამება კანონმდებლობის ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის სწორი მექნანიზმების დანერგვას სკოლაში.

2.სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა სსიპ საქართველოს ოპერატიული-ტექნიკურ სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება , რომელიც უზურუნველყოფს სკოლაში ელქტრონულ დოკუმენტბრუნვას. ხელშეკრულება ორ მხარეს შორის გაფორმებული 2023 წლის 24 ივლისს და ძალაშია 2024 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით, იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს საზაფხულო არდადეგები მიმდინარეობდა. სკოლა აღნიშნულ სისტემის გამოიყენებას უკვე ახალი სასწავლი წლიდან დაიწყებდა. ვიზიტის დროს არ გამოიყენებოდა სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვა. შესაბამისად, ინდიკატორი არ იყო შესაბამისობაში დასკვნის პროექტის მომზადებისას. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ წარმოადგინა ,,სქულმენეჯმენტ სისტემთან" გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში ელექტრონულ დოკუმენტბრუნვას, ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტბრუნვის სისტემის ამსახველი მასალა, რომლითაც დასტურდება მისი მოქმედება და ინდიკატორის შესაბამისობა.
ასევ სკოლა სარგებლობს განათლების მათვის საინფორმაციო სისტემის მიერ შეთავაზებული მონაცემთა ბაზით (E-school), რომელიც უზრუნველყოფ სკოლას თანამედროვე ტექნოლოგიებით მუშაობას , ასევე სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი (Schoolbook), რომელიც ემსახურება სასწავლო პროცესის განმავლობაში მთელ სასკოლო საზოგადოებას.
3. სკოლას აქვს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

4.სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში, პერიოდულად ავსებს თვითშეფასების კითხვარს და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

განვითერების ეროვნულ ცენტრს. ზოგადად, სკოლა აქტიურად თანამაშრომლობს გლდანი-ნაძალადევის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და მისი დახმარებით ამყარებს კომუნიკაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, აგრეთვე, რესურსცენტრს ყოველწლიურად წარუდგენს ინფორმაციას მიღებული ვაუჩერული
დაფინანსების დახარჯვასთან დაკავშირებით. სკოლა ყოველწლიურად აკეთებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ბუღალტური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე წარსადგენად. ასევე, ყოველთვიურად წარადგენს შემოსავლების სამსახურში შესაბამის საგადასახადო დეკლარაციას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.საქმისწარმოების წესი;

2.ხელშეკრულება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის მომსახურებს შესახებ;

3.განათლების მართვის საინფორმაიო სისტემის მონაემთა ბაზა;

4.სქულბუქის მომსახურებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

**3.6.3 სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

1.სკოლას აქვს ვებ-გვერდი - www.gahs.edu.ge ასევე, სოციალური ქსელის გვერდი სადაც მუდმივად თავსდება მიმდინარე და განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების (სასწავლო პროექტების, კონკურსების, ინტელექტუალური შეჯიბრებების, ოლიმპიადების და სხვა) შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია. სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში (Scholbook), რომელსაც ხედავენ შესაბამისი კლასის მასწავლებლები და მშობლები. ასევე, ინფორმაციის მიწოდება, მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც. სოციალური ქსელის მართვას უზრუნველყოფს სკოლის აიტი და ადმინისტრაციული მენეჯერი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან აღნიშნულ სივრცეში სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე.

2.სკოლის ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების, მიღწევების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. აღნიშნული ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით (მშობელთა თანხმობით).

3.სკოლამ წარმოადგინა საზოგადოებათან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი,რომელიც განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს სკოლაში დამკვიდრებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

კვლევის პრაქტიკა რომლის აალიზის სფუძველზე სკოლა გეგმავს პრევენციულ ზომებს, რაც აისახება მისი საქმიანობის ხარისიხზე.

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი -gahs.edu.ge , რომელზედაც მუდმივად ხდება ინფორმაციის განახლება და სიახლეების გამოქვეყნება. ვებ-გვერდი არის ორენოვანი (ქართული და ინგლისური).

5.სკოლის ვებ-გვერდი შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას, რომელთა გაცნობითაც შესაძლებელია სკოლაზე წარმოდგენის შექმნა და შიდა მარეგულირებელი წესების გაცნობა. კერძოდ:

- მისია, ხედვა, ღირებულებები;
- სტრუქტურა;
- პროგრამის სახელწოდება, ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი);
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები;
- გასაჩივრების მექანიზმები;
- ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში;
- საკონტაქტო ინფორმაცია;
- შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილები ( მაგ: კალენდარი, დღის რეჟიმი, შეფასების ნაწილი და ა.შ;
- დამატებითი მომსახურებები, რომლებსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს;
- სიახლეები;
- დამხმარე ლინკები და სხვა ინფორმაცია, რომელსაც სკოლა საჭიროდ თვლის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სკოლის ვებ-გვერდი;

2.საზოგადოებათან ურთერთობისა და კომუნიკაციის წესი;

3.სოციალური ქსელი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფსასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

### 3.7. ფინანსური რესურსები

### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ,,შ. პ .ს ,, ქართულ -ამერიკულ უმაღლესი სკოლის“, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში ილია ჭავჭავაძის გამზირ N44, საგანმანათლებლო ხარისხის უზრუნველყოფის დამადასტურებელი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტის, ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის, ჩვენებისათვის აქვს საერთო ფინანსური აუდიტორული დასკვნა, რომელიც შედგენილია 05.01.23 . შ.პ.ს ,,M აუდიტი“-ს მიერ. აღნიშნული აუდიტის მონაცემების შესწავლის და ჩვენის მიერ შესწავლილი ფინანსური მონაცემების შესაბამისად შეგვიძლია აღვნიშნოთ;

საზოგადოების საოპერაციო შემოსავლებმა 2021 წელს წინა 2020 წელთან შედარებით შეადგინა 2,2% -ით მეტი, 2022 წელს წინა 2021 წელთან შედარებით 23%-ით მეტი ხოლო წარმოდგენილი საპროგნოზო მონაცემებით 2023 წლის შემოსავლები 36.9 %-ით მეტია. საოპერაციო ხარჯებისა სამი წლის მაჩვენებალი გაზრდილია ყოველ წინა წელთან შედარებით მაგრამ ხარჯები შემოსავლებს არ აჭარბებს, ამ მხრივ შემდგომი სამი წლის ხარჯები მნიშვნელოვნად არ იცვლება 2023 წელთან შედარებით და მისი ამ დონეზე სტაბილური შენარჩუნება გარანტირებული ჩანს. საზოგადოების საოპერაციო ფინანსური მოგება 2022 წელს 2021 წელთან შედარებტ გაზრდილია 38,3 %-ით ხოლო 2023 წლის მოგება წილნა წელთან შედარებით დაგეგმილია 84,3% -ით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

ფინანსური შედეგების მაჩვენებლის დინამიკა წინა წლებთან შედარებით წარმოდგენილია დადებითი მაჩვენებლით. 2023 წლიურ ბიუჯეტზე დაკვირვება გვაძლევს იმის საშუალებას რომ სკოლის შემოსავლები მთლიანად უზრუნველყოფს სკოლის მიერ დაგეგმილილ ხარჯვით ნაწილს.

სკოლის მენეჯმენტის არგუმენტირებული მოსაზრებებით და ჩვენი დაკვირვებით რისკები საშუალოზე დაბალია. შესწავლილი მონაცემების გათვალისწინებით სკოლის ფინანსური მდგომარეობა მდგრადია და უახლოეს მომავალში სკოლას, ამ მიმართებით, სასწავლო პროცესის შეფერხება არ ემუქრება. ფინანსური დინამიკა და პროგნოზირება დასტურდება აუდიტის დასკვნით.

2. ზოგადად სკოლის გააჩნია სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების მეთოდოლოგია, მათ შორის ფინანსური, მოიცავ შემდეგ ეტაპებს;

-სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი.

-სიტუაციის შიდა და გარე შეფასების საფუძველზე SWOT ანალიზი,

- განვითარების პრიორიტეტები და მათი განხორციელების ოპტიმალურ გზები.

დაგეგმარებისას, რაც ეხება აგრეთვე მატერიალურ ტექნიკური ბაზის მიზნობრივად განვითარებისათვის, ითვალისწინებენ მშობლების, თანამშრომელთა და მოსწავლეთა ჩართულობას კითხვარების, ანკეტირებისა და უშუალო კომუნიკაციის საშუალებით.

სტრატეგიული განვითარების გეგმის, 2022-2029 წლის, შედგენისას აწარმოებენ წინა წლების ანალიზსა და ითველისწინებენ მომავლის დაგეგმვის საქმიანობაში მაგ;

შესრულებული საქმიანობები; სკოლის ბიბლიოთეკას დაემატა ახალი სახელმძღვანელოები, საგნობრივი მიმართულებით თვალსაჩინოებები, განახლდა სასკოლო სასადილოს ინვენტარი, სკოლამ დამატებით შეიძინა პროექტორები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

და პერსონალურ კომპიუტერები. საბაზო/საშუალო საფეხურზე დაემატა მეორე ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია. სამედიცინო კაბინეტი დამატებით აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარითა და მედიკამენტებით და სხვ.

გასავითარებელი საქმიანობების ნაწილში აღნიშნულია; რომ სკოლას ხელშეკრულებით ემსახურება სატრანსპორტო კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას. სკოლას კვლავ სამომავლო გეგმაში განსახორციელებლად რჩება საკუთარი სატრანსპორტო საშუალებების შეძენა.

სკოლის განვითარების სტრატეგიულ გრძელვადიან და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, ,,სკოლის მატერიალურ ტექნიკური ბაზის განვითარების სრულყოფა და განვითარება, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა“ გაწერისას მითითებულია საჭირო აქტივობები, შესრულების დრო, პასუხისმგებელი პირი, შესრულების ინდიკატორი.

სამოქმედო გეგმაში ცალკე გამოყოფილია ,,სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება“. მონიტორინგის განხორციელება მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს, ესენია:

- ინფორმაციის შეგროვება: (ამ ეტაპზე მონიტორინგის ჯგუფის მიერ გროვდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ინდიკატორის ველში მითითებული მონაცემები ან დოკუმენტები);
- ინფორმაციის მომზადება ანალიზისთვის: (ამ ეტაპზე ხდება ინფორმაციის სისტემატიზება, სტრუქტურირება);
- ინფორმაციის ანალიზი: (ამ ეტაპზე ხდება მონაცემების ანალიზი შესრულების ინდიკატორთან მიმართებაში);
- დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება, ანგარიშის მომზადება;
- უკუკავშირი/რეაგირება შეფასების შედეგებზე: (ანალიზის შედეგები გვაჩვენებს სტრატეგიული მიზნების მიღწევის და ამოცანების განხორციელების მდგომარეობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

სკოლას, ფინანსური მდგომარეობაზე დაკვირვების, განვითარების დინამიკის, პროგნოზირების მიზნით, გარდა შიდა მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებისა მოწვეული ჰყავდა გარე დამოუკიდებელი ფინანსური აუდიტი, რომელმაც აწარმოა განვლილი სამი წლის ფინანსური მონიტორინგი და შეფასება, ხოლო საერთო მოცემულობისა და სიტუაციის გაანალიზების შედეგად 2023 წლის კი ფინანსური პროგნოზირება.

,,სკოლის სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მიხედვით პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს ფინანსურ მენეჯერს, რომლის ფუნქციებია: ორგანიზაციის ფინანსური დოკუმენტაციის წარმართვა; ყოველდღიური ბუღალტრული ოპერაციების წარმოება, ურთიერთობა საგადასახადო სამსახურებთან, ურთიერთობა ბანკთან, საბუღალტრო უწყისების წარმოება, ფინანსური აღრიცხვა, ორგანიზება და კონტროლი, ფინანსური მენეჯმენტი, ორგანიზება და კონტროლი, ბუღალტრული ანგარიშგების ციკლის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება დაწესებულებაში.

ფინანსური მენეჯერი სამსახურეობრივ დამოკიდებულებაშია ქვემდებარეობის მიხედვით დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, ცვლის მათთან ინფორმაციას. საკოლის საგანმანათლებლო საჭიროებების განვითარების მიზნით, დებულებით გაწერილი აქვს ურთიერთკავშირები შემდეგ საქმიანობებზე მაგ: ბიუჯეტის შედგენა, ბიზნეს გეგმის შემუშავება, ანალიტიკური დასკვნა და სხვა,

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა;
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
3. სკოლის ბიუჯეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

4. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
5. ფინანსური ანგარიშგება.
6. აუდიტის დასკვნა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

............................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................

07.09.2023

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -